საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №45/ნ
2015 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

,,მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 07 აპრილის №46/ნ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (28 ნოემბერი 2014 წ., №2822-Iს) პირველი მუხლის მე-15 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 07 აპრილის №46/ნ ბრძანება (www.matsne.gov.ge, 110407027, 07/04/2011; ს/კ: 430190000.22.022.016085).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**